ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

12 ივნისი, ოთხშაბათი, 1991 წ.
№ 108 (10 521) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

პირველად „ცოცხალ ეთერში"

ბირმინჰემში (ინგლისი) ხუთშაბათს, 13 ივნისს დაიწყება და ორ დღეში დაამთავრებს მუშაობას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესია, რომელიც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად განიხილავს და შეარჩევს 1998 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქის ვინაობას. ბირმინჰემის სესიას სპორტულ წრეებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ იმიტომ, რომ კანდიდატი ქალაქის შერჩევის მთელი პროცედურა თანამგზავრის სისტემით გადაიცემა „ცოცხალ ეთერში".

სესიის მონაწილენი მოისმენენ ალბერვილის, ბარსელონისა და ლილე ჰამერის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტების ანგარიშს, აგრეთვე სოკ-ის კომისიების დასკვნებს თამაშების პროგრამებისა და რეგლამენტის შესახებ.

ინგლისურ პრესაში აანალიზებენ 1998 წლის ოლიმპიადის პრეტენდენტ ქალაქთა შანსებს, ოღონდ ზოგადად და არ მიუთითებენ მათ ნაკლოვანებებზე კონკრეტულად, რათა ზეგავლენა არ მოახდინონ დელეგატებზე კენჭისყრის დროს. მაგრამ პრესაში აღინიშნა, რომ ერთ-ერთი კანდიდატი მონაწილეთა დაბინავებას აპირებს სამხედრო ყაზარმებში, რომლებიც ძალზე წააგავს ციხეს.

და მაინც, სესიის მონაწილეთა არაოფიციალურმა ანკეტირებამ გამოარკვია, რომ სხვებზე უფრო დიდი შანსი აქვთ იაპონიის ნაგანოს და ამერიკის სოლტ-ლეიკ-სიტის.

ინგლისური გაზეთები აღნიშნავენ, აგრეთვე, რომ ბირმინჰემის სესიაზე არ განიხილავენ სოკ-ის ახალ წევრთა მიღების საკითხს. ამ პრობლემას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, მისი პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩის კატეგორიული განცხადებით, დაუბრუნდება მხოლოდ 1992 წელს, ბარსელონის ზაფხულის ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ.

ფრანს პრესის სააგენტოს წარმომადგენელმა გადმოსცა ბირმინჰემიდან, რომ 1992 წლის ალბერვილის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის სურვილი (თამაშები ჩატარდება საფრანგეთის ამ საკურორტო ქალაქში თებერვალს) გამოთქვა 56-მა ქვეყანამ. განაცხადების მიღების ვადა შეწყდა ოთხი დღის წინ. 8 ივნისს.

* * *

ტურნირები და შედეგები

● **ივნისამდე** კიეველი მძლეოსანი (სამხტომელი) ინესა კრავეცი მსოფლიო რეკორდსმენად ითვლებოდა დახურულ დარბაზებში. სარეკორდო შედეგი აჩვენა მან წლეულს (მარტი) სევილიაში გამართულ შეჯიბრებაზე — 14 მ. 44 სმ. ღია ცის ქვეშ მსოფლიოს უმაღლეს მიღწევას კი ჩინელი ლინ ხენჩუნი ფლობდა — 14 მ. 54 სმ. ახლახან ძმებ ზნამენსკების მემორიალზე 25 წლის კრავეცმა ჩინელის რეკორდს 41 სანტიმეტრი წაუმატა — 14 მეტრსა და 95 სანტიმეტრზე გადახტა და სამხტომში მსოფლიოს აბსოლუტური რეკორდის მფლობელი გახდა.

● **როგორც** ვიუწყებოდით, კალათბურთის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ათენის ტურნირზე საბჭოთა ნაკრებმა ბოლო ადგილი დაიკავა და საბერძნეთის პრესის კრიტიკა დაიმსახურა. გაზეთების აზრით, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს „ევროპული კალათბურთის გრანდებს ნაუცბადევად შეკოწიწებული ახალგაზრდული გუნდი ხვდებოდა". ტურნირის დამთავრების შემდეგ მოეწყო საინტერესო ამხანაგური მატჩი ბალკანეთისა და ევროპის ნაკრებ გუნდებს შორის. ბალკანეთის ნაკრებში თამაშობდნენ მხოლოდ იუგოსლავიისა და საბერძნეთის წარმომადგენლები, ევროპის ნაკრებში კი იტალიელი, ფრანგი, ესპანელი და საბჭოთა კავშირის კალათბურთელები (ეს უკანასკნელი წარმოდგენილი იყო მიგლინიეკსით, ბაზარევიჩითა და ბონდარენკოთი). დაძაბული ბრძოლა მოიგო ბალკანეთის ნაკრებმა — 103:102.

● **ინგლისის** ქალაქ ეპსომში გაიმართა პრესტიჟული დოღი, რომელშიც მონაწილეობდნენ ევროპაში საუკეთესო სამწლიანი ცხენები. ტურნირი მსოფლიოში დიდი პოპულარობით სარგებლობს, რაც იქიდანაც ჩანს, რომ პირველად სტარტი მას 128 წლის წინ, 1863 წელს მიეცა. წლევანდელი დოღი (2,4 კმ) მოიგო ცხენმა ჯეკ სკაი ლედიმ (მხედარი კრისტი როჩე), რისთვისაც ჯილდოდ მის მფლობელს 250 ათასი დოლარი გადაეცა.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

„იბერია" (თბილისი) — „შევარდენი-1906" (თბილისი) 2:0 (2:0).

თბილისი. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. 10 ივნისი.

„იბერია": ჩხეიძე, არზიანი, მაჭავარიანი, შელია, ჯიშკარიანი, რევიშვილი, ინალიშვილი, ჩიქოვანი (ქველაძე), კაჭარავა, ყაველაშვილი, (ჯამარაული), შ. არველაძე.

„შევარდენი-1906": გვენცაძე, ელიაშვილი, ნადარეიშვილი, ჩადუნელი (ზეიკიძე), მენთეშაშვილი, კოპალეიშვილი, ბაკურაძე, შალამბერიძე, ტარტარაშვილი, ქობელაშვილი, მინაშვილი.

მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი), თ. მაჭარაშვილი (ხონი), ი. მეჭერიშვილი (გურჯაანი).

დედაქალაქის გუნდების შეხვედრა ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს და ამჯერადაც საინტერესოდ წარიმართა. თამაში „შევარდენის" აქტიურობით დაიწყო, მაგრამ ანგარიში „იბერიამ" გახსნა პირველი ნახევრის მე-8 წუთზე — არზიანმა მარცხენა ფლანგიდან წამოიწყო კონტრშეტევა, მოატყუა „შევარდენის" ორი მცველი და საჯარიმოში ჩაჰკიდა ბურთი, აქ კი შოთა არველაძემ დაასწრო ყველას — 1:0. გატანილი ბურთის შემდეგ მასპინძელთა უპირატესობა ცხადი გახდა. მე-15 წუთზე რევიშვილს შეეძლო ანგარიშის გაზრდა, მაგრამ მის მიერ ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთი მოიგერია გვენცაძემ. მე-20 წუთზე „შევარდენის" ფეხბურთელებმა საკუთარ საჯარიმოში წესი დაარღვიეს და მსაჯმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა. ყაველაშვილმა ზუსტად დაარტყა — 2:0. ერთი წუთის შემდეგ არველაძეს შეეძლო მესამედ აეღო გვენცაძის კარი, მაგრამ ამ უკანასკნელმა კარგად ითამაშა და კუთხურზე მოიგერია ბურთი. ტაიმის მიწურულს კი ყაველაშვილმა გაახსენა თავი მეკარეს, მაგრამ ამჯერადაც იმარჯვა სტუმართა კარის დარაჯმა, რომელიც მეორე ტაიმში ერთ-ერთი საუკეთესო იყო სტუმართა გუნდში; მან ყაველაშვილის, არველაძის, [illegible] ერთი ძლიერი დარტყმა მოიგერია. თავის [illegible] კარე ჩხეიძე ყოფილა „თამაშგარე მდგომარეობაში" — მე-60 წუთზე, მაგალითად, მან ბაკურაძის მიერ შორი მანძილიდან ძლიერად დარტყმული ბურთი მოიგერია კუთხურზე. ამის შემდეგ, თამაში ორმხრივი შეტევებით წარიმართა, მაგრამ ანგარიში უცვლელი დარჩა — 2:0.

რამინ ყურაშვილი

ტურის სხვა მატჩების მიმოხილვა იხ. მე-3 გვ.

„იბერია" — „შევარდენი-1906"

ჯ. კოტორაშვილის ფოტო.

ავტოგრაფები ტაბლოზე და რამდენიმე დეტალი

საფრანგეთის მე-100 ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში („როლან გაროსის" ტურნირი). 1991 წ. პარიზი. 27 მაისი — 9 ივნისი.

ფინალური შეხვედრები. ვაჟები. ჯიმ კურიე — ანდრე აგასი (ორივე — აშშ) 3:6, 6:4, 2:6, 6:1, 6:4.

ქალები: მონიკა სელეში (იუგოსლავია) — არანტა სანჩესი (ესპანეთი) 6:3, 6:4.

ვაჟთა წყვილები. ჯონ ფიტცჯერალდი (ავსტრალია) და ანდერს იარიდი (შვეცია) — რიკ ლიჩი და ჯიმი პიუ (ორივე — აშშ) 6:0, 7:6 (7:2).

ქალთა წყვილები. ჯიჯი ფერნანდესი (პუერტო-რიკო) და იანა ნოვოტნა (ჩეხოსლოვაკია) — ლარისა სავჩენკო და ნატალია ზვერევა (ორივე — სსრკ) 6:4, 6:0.

შერეული წყვილები. ჰელენა სუკოვა და სირილ სუკი (ორივე — ჩეხოსლოვაკია) — კაროლინ ვისი და პოლ ჰაარხუსი (ორივე — ჰოლანდია) 3:6, 6:4, 6:1.

რამდენიმე სიტყვა ფულად პრემიებზე, რომლებიც ცალკეულ თანრიგში გამარჯვებულმა ჩოგბურთელებმა მიიღეს:

საფრანგეთის ღია ჩემპიონატის საპრიზო ფონდი 37 მილიონ 370 ათას ფრანკს (6,6 მილიონ ამერიკულ დოლარს) შეადგენდა. ეს თანხა 10,27 პროცენტით აღემატება შარშანდელ საპრემიო ფონდს.

ჯიმ კურიე — 2.448.000 ფრანკი (451.660 დოლარი).

მონიკა სელეში — 2.237.000 ფრანკი (378.500 დოლარი).

ჯონ ფიტცჯერალდი და ანდერს იარიდი — 1.000.000 ფრანკი (ორთავეს).

ჯიჯი ფერნანდესი და იანა ნოვოტნა — 786.500 ფრანკი (ორთავეს).

ჰელენა სუკოვა და სირილ სუკი — 220.000 ფრანკი (ორთავეს).

გაგაცნობთ ვაჟთა და ქალთა ტურნირებში გამარჯვებულთ. ჯიმ კურიე 20 წლისაა. ადრე გატაცებული იყო კალათბურთით, თამაშობდა კიდეც საუნივერსიტეტო გუნდებში, მაგრამ შემდგომში ჩოგბურთელთა ცნობილი ამერიკელი მწვრთნელის ნიკ ბოლეტიერის მოწაფე გახდა (ისევე, როგორც ანდრე აგასი). საფრანგეთის ღია ჩემპიონატის დაწყების წინ მსოფლიოს მეცხრე ჩოგბურთელად ითვლებოდა. „დიდი მუზარადის" სერიის ტურნირების ფინალში ადრე არასდროს გამოსულა.

17 წლის მონიკა სელეში ზედიზედ მეორედ გახდა საფრანგეთის ჩემპიონი. წლევანდელ ფინალში გამარჯვებით შეინარჩუნა მსოფლიო რეიტინგში პირველი ადგილი. სელეშმა 1991 წლის სეზონში „დიდი მუზარადის" მეორე ტურნირი მოიგო. პირველი გამარჯვება მან წლის დასაწყისში ავსტრალიის ღია ჩემპიონატში იზეიმა.

დაბოლოს, კიდევ ერთი საინტერესო ცნობა. საფრანგეთის ღია ჩემპიონატის დამთავრებისთანავე, გამოქვეყნდა მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელ ვაჟთა სია (ახალი რეიტინგის საფუძველზე). ათეული გამოიყურება ასე: 1. სტეფან ედბერგი (შვეცია), 2. ბორის ბეკერი (გერმანია), 3. ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია), 4. ჯიმ კურიე, 5. ანდრე აგასი (ორივე — აშშ), 6. სერჯ ბრუგერა (ესპანეთი), 7. გი ფორჟე (საფრანგეთი), 8. პიტ სამპრასი (აშშ), 9. მიჰაელ სტიჰი (გერმანია), 10. მაიკლ ჩანგი (აშშ).

ნორჩთა ამ შეჯიბრებას „იმედის სტარტები" ჰქვია. ასე ვინებეთ და ასე „მოვნათლეთ" იგი ჩვენ, უფროსებმა. ცხადია, არ შევმცდარვართ, მათი სპორტული მომავალი გვეიმედება და იმიტომ, მაგრამ...

უზრუნველი არსებები — ბავშვები, მოგეხსენებათ, მომავალზე ბავშვურად ფიქრობენ, მათთვის უმთავრესია მყისიერი წარმატება და სიხარული. ასპარეზობენ, რაც ძალა აქვთ და არც ლაღობას იკლებენ.

ეს ყოველივე კარგადაა ასახული ამ ფოტოებზე, რომლებზეც თბილისში მიმდინარე „იმედის სტარტების" XVI რესპუბლიკური ფინალური შეჯიბრების მონაწილენი არიან აღბეჭდილნი. ასპარეზობის პროგრამა მრავალფეროვანია — რბენა 60 და 1000 მეტრზე, ამანათრბენი (10X40), სიგრძეზე ხტომა, ცურვა, ტანვარჯიში, ბურთის ტყორცნა...

ჯერჯერობით ყველას თბილისის 36-ე და ბორჯომის მესამე საშუალო სკოლების მეხუთეკლასელები სჯობნიან...

ხ. ვართანესოვის ფოტორეპორტაჟი.

* * *

ლემონდი თამაშგარე მდგომარეობაში

დიდი სპორტსმენი იმითაც არის დიდი, რომ საკუთარი სისუსტის აღიარება შეუძლია. ამერიკელი ველოსიპედისტის გრეგ ლემონდის სისუსტეზე ლაპარაკი ცოტა უხერხულია, მაგრამ წლევანდელ „ჯირო დ'იტალიაში" მას აშკარად მოეცარა ხელი. აი, რა თქვა ამის შესახებ თვითონ სპორტსმენმა: „წლეულს, ისეთი მძაფრი მეტოქეობა იყო, რომ მეთოთხმეტე ეტაპის შემდეგ მთლად გამოფიტული აღმოვჩნდი. სწორედ ამიტომ „ჩამოვედი დისტანციიდან" და შევწყვიტე რბოლა". დიახ, ერთ-ერთი ფავორიტისთვის — გრეგ ლემონდისათვის „ჯირო დ'იტალია" მეთოთხმეტე ეტაპზე დამთავრდა.

ცუდად წაუვიდა საქმე შარშანდელი სეზონის № 1 პროფესიონალს იტალიელ ჯანი ბუნიოსაც, რომელიც დიდ იმედებს ამყარებდა სამთო ეტაპებზე (იგი რბოლის ერთპიროვნულ ლიდერთან ფრანკო კიოჩოლისთან მხოლოდ 1 წამს აგებდა). მაგრამ სწორედ სამთო ეტაპები გამოდგა მისთვის დამღუპველი. ბუნიო ნელ-ნელა დაშორდა ლიდერს და ახლა მას 2 წუთითა და 37 წამით ჩამორჩება.

მე-15 ეტაპი მოიგო კიოჩოლიმ. 132 კილომეტრს მან 4:01.53 მოანდომა. იგი ინარჩუნებს ლიდერობას საერთო ჩათვლაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანი მატიანის ფურცლებზე

მეკარის „ჭაპანი" არ შემსუბუქებულა

ორმოციანი წლების დამდეგსა და ომის შემდგომ წლებში ჯერ თბილისის „დინამოს", მერე კი ადგილობრივი „სპარტაკის" ფეხბურთელთა გუნდების კარს იცავდა გივი იოსელიანი. ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ოსტატთა ამ გუნდებში გამოდიოდა, ბატონი გივი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა, ამჟამად კი საექიმო შრომითი ექსპერტიზის რესპუბლიკური ცენტრის ნევროპათოლოგ-ორდინატორია. ამ სამოცდაათს გადაცილებული ჭარმაგი კაცისთვის წლებს მართლაც რომ ვერაფერი დაუკლია. ვფიქრობთ, ფეხბურთის მოყვარულთა ახლანდელ თაობას, და არამარტო მას, დააინტერესებს ვეტერან მეკარესთან ჩვენი შეხვედრა, კერძოდ, მასთან საუბარი, რომელსაც დღეს გთავაზობთ.

● „დინამოში" თქვენი მიწვევა იმ პერიოდს დაემთხვა, როცა გუნდი საკავშირო ჩემპიონატების უცვლელ ფავორიტად ითვლებოდა და თავზარს სცემდა ნებისმიერ მეტოქეს. მაშინ დინამოელებს „დიდ ურუგვაელებსაც" კი უწოდებდნენ (იმხანად მსოფლიო ჩემპიონი ლათინური ამერიკის ეს ქვეყანა იყო), მაგრამ გუნდი მაინც მხოლოდ „მეორეხარისხოვანი როლებით" კმაყოფილდებოდა, ვერა და ვერ გახდა ჩემპიონი...

— მართალი ბრძანდებით, „დინამო" ნებისმიერი გუნდისთვის დიდად ანგარიშგასაწევი ძალა იყო და მეტოქეთა მწვრთნელებს არაერთი ღამე დასთენებიათ ჩვენს წინააღმდეგ სათამაშო გეგმის ძიებაში. მიუხედავად ამისა, ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში ისევ და ისევ მხოლოდ პრეტენდენტებად ვრჩებოდით...

ჩემს პირად აზრს მოგახსენებთ: პრინციპი — „ყველა საუკეთესო „დინამოს" — არ ამართლებდა. ფეხბურთი, პირველ ყოვლისა, შემოქმედებაა, თანაც კოლექტიური. ამდენად, ყოველ გუნდს, ისევე როგორც ყოველ შემოქმედებით კოლექტივს, აქვს წლების მანძილზე გამომუშავებული საკუთარი ხელწერა, რომელსაც მისთვის წარმატება მოაქვს. და, როცა რომელიმე წევრი გამოაკლდება ანსამბლს, იგი უწინდებურად ვეღარ ჟღერს. ეს კიდევ არაფერი. ახალ კოლექტივში მოსული „სოლისტი" ისე ადვილად ვეღარ იკვლევს გზას სპორტული სრულყოფისკენ, ხშირად ყველაფრის თავიდან დაწყება უხდება. მახსენდება თბილისის „ლოკომოტივი", რომელმაც მოსკოვის „კრილია სოვეტოვთან" ერთად ტრიუმფით განვლო მეორე ჯგუფის საკავშირო პირველობა და უძლიერესთა რიგებში გადაინაცვლა. ორიოდე წლით ადრე, „ზემოდან" ბრძანების თანახმად,. ამ გუნდიდან „დინამოში" გადაიყვანეს გაიოზ ჯეჯელავა, ლურიკ ლოლაძე, გოგი აფრიდონიძე, რომლებიც რკინიგზელთა შორის საუკეთესოებად ითვლებოდნენ. მათგან „დინამოს" შემადგენლობაში, ისიც დიდი ძალისხმევით, მხოლოდ გაიოზ ჯეჯელავამ დაიმკვიდრა ადგილი. „ლოკომოტივი" უკვე სულს ღაფავდა და 1940 წლის სეზონის დამთავრებამდე გამოიყვანეს გათამაშებიდან. არადა, ამ უფლების მოპოვებას დიდი ჯაფა დასჭირდა... სამწუხაროდ, „ლოკომოტივის" მაგალითი ჭკუის სასწავლებელი არ გამოდგა და „დინამო" კვლავ მოურიდებლად „ძარცვავდა" იმ გუნდებს, რომლებსაც რაიმე პრეტენზია გაუჩნდებოდათ. გაიხსენეთ თბილისის „სპარტაკის" მეტად კოლორიტული გუნდი, რომლის შემადგენლობიდანაც ავთანდილ პაიჭაძეს, ძმებს გაგნიძეებს, არჩილ კილაძეს „დინამოში" უხმეს. მათგან მხოლოდ ერთი — კარლო გაგნიძე დამკვიდრდა გუნდში. დანარჩენებმა კი, შეიძლება ითქვას, სათადარიგო სკამზე დაამთავრეს საფეხბურთო კარიერა. განა რა მოხდებოდა, რომ „სპარტაკისთვის" დაეცლიათ, უძლიერესთა რიგებში მტკიცედ მოეკიდებინა ფეხი, თუნდაც რესპუბლიკის უპირველესი გუნდის სახელი მას დარჩენოდა? ხომ დაათმობინა ჰეგემონია ლენინგრადის „ზენიტმა" ამავე ქალაქის ოდესღაც ძლიერ „დინამოს"...

ამგვარ წინდაუხედაობას თბილისის არმიელთა გუნდიც „ემსხვერპლა". გაიხსენეთ, რა მოჰყვა არმიელი ფეხბურთელების — იური კურტანიძის, ანატოლი ნორაკიძის, თენგიზ მელაშვილის „დინამოში" გადასვლას.

დაბოლოს, „დინამოს" მიერ ქუთაისის „ტორპედოს" გაუთავებელი დაქუცმაცება...

ამით ის მინდა ვთქვა, რომ, შესაძლოა, „დინამოს" ვარსკვლავები არ აკლდა, მაგრამ მათ შეთამაშებას იგი ისევ სხვა ძლიერი ფეხბურთელების მოზიდვას ამჯობინებდა. ამას კი, როგორც დავრწმუნდით, სასურველი შედეგი არ მოჰქონდა, რადგან გუნდი შორს იყო იმ ერთსულოვნებისგან, რომლითაც, ვთქვათ, თბილისის „სპარტაკი" გამოირჩეოდა.

1951 წელი. თბილისის „სპარტაკი" (მარჯვნიდან) — ლომაია, იოსელიანი, გოგლიძე, კალოევი, აროშიძე, ვერეცკი, ნარიმანიძე, ნორაკიძე, სიხარულიძე, სურციძე, ნ. გაგნიძე, — ლენინგრადში, ადგილობრივ „ზენიტთან" შეხვედრის წინ.

● როგორ მოხვდით „დინამოში", საერთოდ დიდ ფეხბურთში?

— ყველაფერი რკინიგზის სკოლების პირველობით დაიწყო. დინამოელების მწვრთნელი მიხეილ მინაევი ქალაქის სკოლების ხშირი სტუმარი იყო და ეგრეთ წოდებულ ქუჩის ფეხბურთელთაგან არჩევდა საუკეთესოებს. მათგან შეკრიბა გუნდი, რომელშიც მეც მოვხვდი. თბილისელებმა ამ პროფილის სკოლების საკავშირო ჩემპიონატში პირველობა არავის დავუთმეთ. ამ გუნდის ბაზაზე შეიქმნა „პიშჩევიკი", სადაც თბილისელი ბიჭები ნამდვილ ფეხბურთს ვეზიარეთ. აქედან სულ მალე მე და მცველი ჯანსულ კინწურაშვილი გადაგვიყვანეს „ლოკომოტივში", რომელსაც სათავეში ედგა ნესტორ ჩხატარაშვილი. ამ გუნდში იყვნენ შესანიშნავი ფეხბურთელები, რომელთა გვერდითაც ვიზრდებოდით და ოსტატობას ვხვეწდით. „ლოკომოტივმა" 1939 წელს საკავშირო ჩემპიონატში გამოსვლის უფლება მოიპოვა, მაგრამ იმ მიზეზთა გამო, რაზეც უკვე ვთქვით, გუნდი ულიმღამოდ თამაშობდა და შუა სეზონში მოიხსნა გათამაშებიდან. შეიძლებოდა დავრჩენილიყავით კიდეც, თუ გადამწყვეტ მატჩს მოვუგებდით სტალინგრადის „ტრაქტორს"; მაგრამ ნიკოლაი ლატიშევი დაგვინიშნეს მსაჯად და მანაც ეს ნდობა „გაამართლა": ბურთი პირით ხაზს თითქმის ერთი მეტრით გადასცდა და მსაჯის სასტვენის მოლოდინში ყველანი გავჩერდით. თქვენც არ მომიკვდეთ, სასტვენი დუმდა (?!). ამით ისარგებლა ალექსანდრე პონომარიოვმა და ჩვენს კარში გოლი გაიტანა. ამან გადაწყვიტა ჩვენი ბედი.

იქიდან დაბრუნებულნი, ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად ქუთაისს გავემგზავრეთ. სადაც მოგვივიდა „დინამოს" დეპეშა: არჩილ ბერძენიშვილი, ჯანსულ კინწურაშვილი და გივი იოსელიანი ჩამოდით...

● რომელ მატჩს იხსენებთ ახლა სიამოვნებით?

— ასეთი ბევრი იყო. განსაკუთრებით კი 1946 წლის მატჩი მინდა გავიხსენო, ლენინგრადში „ზენიტთან" რომ ვითამაშეთ. ეს იყო იმ სეზონში ჩვენი წაუგებელი სერიის ერთ-ერთი შეხვედრა. არჩილ კიკნაძემ ჩვენს საჯარიმოში უხეშად მოცელა მასპინძელთა ფორვარდი, რასაც პენალტი მოჰყვა. დარტყმა და, ორივე ხელით ჩავებღაუჭე ბურთს, წამიც და, გაიოზ ჯეჯელავამ მანიშნა, ბურთი წინ გამიგდეო. ჩვენი გარემარბი ელვის სისწრაფით გაიჭრა „ზენიტის" კარისკენ და, რომ იტყვიან, სრულიად არაფრისგან ულამაზესი გოლი გაიტანა. სხვათა შორის, მატჩის მეორე ტაიმის რეპორტაჟს რადიოთი ეროსი მანჯგალაძე გადასცემდა. მას ძალიან მოსწონებია ეს გოლი, მაგრამ კარგა ხანს სიტყვა არ დასცდენია და მხოლოდ შეხვედრის ბოლო წუთებში უთხრა რადიომსმენელებს, ნუ აღელდებით, თბილისელების ერთი ბურთი „სამარქაფოდ" შემოვინახეო.

● თქვენთვის ყველაზე „უსიამოვნო" ფორვარდს თუ გაიხსენებთ?

— რაღა თქმა უნდა, პონომარიოვი, რომელთანაც გაუთავებელი „დუელი" მქონდა. ესეც 1946 წელს მოხდა — თბილისში ვხვდებოდით მოსკოვის „ტორპედოს", რომლის სული და გული დაუდეგარი კაპიტანი პონომარიოვი გახლდათ. სტუმრების ერთ-ერთი იერიშის დროს კაპიტანმა სამი მეტრიდან დაარტყა, მაგრამ ბურთი ავიღე, რამაც გულზე გახეთქა იგი და გვარიანადაც შემომიკურთხა. ეს ის მატჩი იყო, ბორის პაიჭაძემ კუთხურიდან რომ გაიტანა ბურთი აკიმოვის კარში.

იმავე წელს მოსკოვში საპასუხო მატჩის წინ დამემუქრა, ახლა კი ვეღარ გადამირჩებიო. ვნახოთ-მეთქი, მივუგე. მართლაც, ჩვენი კარი „მშრალი" დარჩა იმ შეხვედრაში.

● თქვენს სპორტულ ბიოგრაფიაში ალბათ, მეკარისათვის „ავად მოსაგონარი" მატჩიც იქნება...

— ვხვდები, რასაც გულისხმობთ. კვლავ 1946 წელს გავიხსენებ, პირველ ყოვლისა, იუგოსლავიის „პარტიზანთან" წაგებულ საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრას. მას წინ დიდი აჟიოტაჟი უძღვოდა. მოგვიწყვეს ორკვირიანი საგანგებო დასვენება, საკავშირო პირველობის რამდენიმე კალენდარული მატჩიც კი გამოგვატოვებინეს, რითაც ძალზე ცუდი სამსახური გაგვიწიეს — გუნდს დააკლდა სათამაშო პრაქტიკა, რამაც სპორტული ფორმიდან „ამოგვაგდო". კიდევ უფრო სამწუხარო ის იყო, რომ გუნდის შემადგენლობა გვიკარნახა ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის წარმომადგენელმა ტოვაროვსკიმ, რომელმაც ლოლობერიძე მისთვის ჩვეული შუამარბის ადგილიდან მარცხენა გარემარბად გადაიყვანა, რითაც შუა მინდვრის ბატონ-პატრონობა სტუმრებს გადაულოცა. მათმა ნახევარდაცვამ ზლატკო ჩაიკოვსკის მეთაურობით ფრთები გაშალა და ორჯერ აიღო ჩვენი კარი, რასაც მიხეილ ბერძენიშვილმა „საფირმო" პენალტით უპასუხა — მეკარე ერთ კუთხეში გადახტა, ბურთი კი მეორეში გავიდა. მწარედ ვიხსენებ პირველ ბურთს ჩემს კარში. შორი ნახტომით კარის მარჯვენა კუთხე „ჩავკეტე", მაგრამ არცთუ ძლიერად დარტყმული ბურთი ზედ ცხვირწინ ამეჭრა, ტანზე გადამევლო და ბადეში აღმოჩნდა, რაც შეეხება მარცხს იმავე წლის საკავშირო თასის გათამაშების ფინალში, ეს წაგება მართლაც მოულოდნელი იყო. იმ სეზონში ორჯერ დავამარცხეთ მოსკოვის „სპარტაკი", რომელიც საბოლოოდ მეცხრე ადგილზე გავიდა, ჩვენ კი მესამე საპრიზო ადგილი გვერგო. მთელი მოსკოვი წინასწარ გვილოცავდა თასის მოპოვებას. ეტყობა, ჩვენმა ბიჭებმაც ნაადრევად ირწმუნეს გამარჯვება და ზედმეტად დამშვიდებულნი გამოვიდნენ მინდორზე. ფინალურ მატჩისთვის კი მოსკოველები საგანგებოდ მოემზადნენ და ყველაფერი იღონეს, რომ თასი მათ დარჩენოდათ. ყველა გააოცა მათმა სიმტკიცემ — მიუხედავად იმისა, რომ ტაიმ-ნახევარი აგებდნენ მატჩს, მაინც არ შედრკნენ და ფარ-ხმალი არ დაყარეს. მათ ჯერ დამატებით დრომდე მიიყვანეს საქმე, მერე კი გადამწყვეტი ბურთის გატანაც შეძლეს და თასი, რომელიც უკვე ჩვენი გვეგონა, მოსკოვში დარჩა. არადა, გამარჯვება სულ ახლოს იყო. კომენტატორმა სინიავსკიმ ისიც კი თქვა, სამხრეთელებს კურსკის ვაგზალზე თასის წასაღებად სპეციალური მატარებელი ელითო.

ეს მარცხი იქნებ იმის ბრალიც იყო, რომ თასის გათამაშების თითქმის ყველა მატჩი საკავშირო პირველობის დამთავრების შემდეგ იქვე, მოსკოვში, ჩატარდა. ვიდრე ფინალამდე მივაღწევდით, ჩვენი დაგვემართა, მოგვენატრა შინაურები, თბილისი და ერთი სული გვქონდა, როდის დავბრუნდებოდით შინ...

● უკვე ორმოცდაათ წელზე მეტია ფეხბურთთან ახლოს ხართ. დაგვეთანხმებით, ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა თამაშში. ახლა დაცვაზე უფრო მეტს ფიქრობენ, ვიდრე შეტევაზე. ამიტომ იშვიათი როდია, რომ საკუთარ საჯარიმო მოედანზე მთელი გუნდი იყრის თავს. ასეთი მასირებული დაცვა უადვილებს თუ არა მეკარეს თამაშს, ესე იგი, შეუმსუბუქდა თუ არა მას ის ტვირთი, რომელიც, ვთქვათ, თქვენი თაობის მეკარეებს ჰქონდათ? აკი ამბობენ, მეკარე ნახევარი გუნდიაო.

— არა, მეკარის „ჭაპანი" არ შემსუბუქებულა. ვერ წარმოიდგენთ, დღესაც როგორ განვიცდი გაშვებულ გოლებს. აი ეს არის, პირველ ყოვლისა, ფსიქოლოგიურად ძალზე ძნელად დასაძლევი. თავად განსაჯეთ, წინ მოთამაშეს შეუძლია დაუშვას შეცდომა, რომელსაც გამოასწორებს. მეკარე კი, ალპინისტისა არ იყოს, ერთხელ ცდება და ეს შეცდომა საბედისწეროა.

● რას იტყოდით ჩვენში ფეხბურთელთა აღზრდის შესახებ? ამაზე საუბარი დღეს მართლაც დროულია, რადგან ქართული ფეხბურთი დამოუკიდებლობის გზას დაადგა და მომავალ თაობათა აღზრდა შეუმცდარად უნდა წარიმართოს.

— დარწმუნებული ვარ, ახლაც მრავლად გვყავს ნიჭიერი ახალგაზრდები, მაგრამ მათ მიმართ მწვრთნელები დაუდევარ დამოკიდებულებას იჩენენ. მეცადინეობა ქვალორღიან მინდორზე ტარდება. ბევრის ნიჭს მწვრთნელები „ამრუდებენ"... ზოგი მწვრთნელი, უფრო ახალგაზრდებს ვგულისხმობ, ნაადრევად ანებივრებს ნიჭიერ ახალგაზრდებს, ცდილობს უმცროსების გუნდში გადმოიბიროს და ასაკსაც უკლებს, ახალგაზრდებს სიყალბესა და სიცრუეს აჩვევს. რისთვის? გუნდმა რომ გაიმარჯვოს, მწვრთნელმა კი წოდებები და პრემიები მიიღოს. თუმცა ყველა ნაკლის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს... აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ჩვენი ფეხბურთის პრინციპად მიჩნეულია დაჩქარებული მოწიფულობა, რის გამოც განზე რჩება ყველაზე მთავარი — ფეხბურთელის ტექნიკური სრულყოფა. ტექნიკა კი უპირველესი უნდა იყოს. ამიტომ ხდება, რომ ზოგიერთი დიდად ნიჭიერი იუნიორიც კი ბოლოს უსწავლელი და ხელმოცარული რჩება...

მაგრამ მაინც მჯერა, რომ სულ მალე ქართულ ფეხბურთში გამოჩნდებიან ახალი ვარსკვლავები, რომლებიც შორს გაუთქვამენ მას სახელს. ამას იმიტომ როდი ვამბობ, რომ არ მინდა ეს საუბარი მინორული განწყობილებით დავასრულოთ. არა. იქ, სადაც პაიჭაძეები, ლოლობერიძეები, მესხები, ყიფიანები და დარასელიები აღიზარდნენ, არ შეიძლება ახალი ტალანტები არ გამობრწყინდნენ.

ესაუბრა უშანგ ჭიჭინაძე.

რეპლიკა

თქვენ საით, ჩვენებურებო?

სულ რაღაც ორიოდე თვის წინ საქართველოს სპორტის დეპარტამენტმა საკავშირო სპორტსაკომიტეტთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამას შეხებს და იმაზეც, რომ ამიერიდან საქართველოს რესპუბლიკის სპორტსმენები აღარ იასპარეზებენ საკავშირო ტურნირებში, ოლიმპიადებზე, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე, საერთაშორისო ტურნირებში არ დაიცავენ საბჭოთა სპორტის ღირსებას, „ცენტრს" ოფიციალურად ეცნობა, გადაწყვეტილებას იმთავითვე დაუჭირეს მხარი ჩვენმა ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა, სპორტის სახეობათა ფედერაციებმა, სპეციალისტებმა, ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია რესპუბლიკის სრული დამოუკიდებლობა.

მართლაც, ისე ჩატარდა ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი, ტყვიის მსროლელთა და მესტენდულეთა მსოფლიო თასების გათამაშებანი, რიგი სხვა ტურნირები, რომ მათში საქართველოს არც ერთი სპორტსმენი არ გამოსულა. საბჭოთა ნაკრების „ნადავლს" ეს კიდევაც შეეტყო.

ყველაფერი ნაკარნახევი იყო იმით, რომ საქართველოს რესპუბლიკის სპორტი იბრძვის მსოფლიო სარბიელზე დამოუკიდებლად, ეროვნული დროშით გასასვლელად, აღარ გვსურს სხვათა წისქვილზე ვასხათ წყალი, სხვას მოვუტანოთ სახელი და დიდება. და აი, ამ დროს გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ვერ გაუძლეს ცდუნებას თუ ვიღაცის პროპაგანდას, არად ჩააგდეს რესპუბლიკის სპორტის ხელმძღვანელი ორგანიზაციის გადაწყვეტილება და საკავშირო ტურნირებში ან ნაკრების შემადგენლობაში საერთაშორისო შეჯიბრებებში იასპარეზეს.

არ ვიცით, რით იმართლებენ თავს ტყვიის სროლაში საქართველოს ნაკრების წევრები, არმიელები, ცოლ-ქმარი ოლგა და ვლადიმერ სამოილენკოები, ტატიანა მარუტიანი, ანდრეი დოლგაროვი, სერგეი ალიფერენკო — საქართველოში დაბადებულნი, გაზრდილნი, დაოსტატებულნი, ისინი, ალბათ, არ დაფიქრებულან, თბილისის არმიელთა სპორტკლუბის სახელით ისე ჩაებნენ საკავშირო ტურნირში. მერე რა, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა არმიაში მსახურობენ...

და კიდევ: სოხუმელმა ძიუდოისტმა ვლადიმერ დგებუაძემ საერთაშორისო ტურნირში საბჭოთა კავშირის ღირსება დაიცვა და „ცენტრის" სპორტულ ორგანიზაციას ოქროს მედალიც შემატა. რით არიან ისინი უკეთესნი დავით გობეჯიშვილზე, ამირან ტოტიკაშვილზე, დავით ხახალეიშვილზე, ნინო სალუქვაძეზე, თამაზ იმნაიშვილზე, სხვებზე და სხვებზე, რომლებმაც ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სპორტის დეპარტამენტის, ოლიმპიური კომიტეტის, ფედერაციების გადაწყვეტილებას და უარი თქვეს საკავშირო ნაკრებზე?

ნათქვამია: „ერთხელ ბრძენიც შეცდებაო". თუ ასეა, იქნებ ხმაც არ ამოგვეღო, მაგრამ 6 კაცის შეცდომა ერთის შეცდომა არაა. ფაქტები რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს! შესაბამისი ფედერაციები, ალბათ, სპეციალურად იმსჯელებენ მათ საქციელზე. საბოლოო პასუხს რედაქცია სწორედ ამ ფედერაციებისაგან დაელოდება.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

„გურია" (ლანჩხუთი) — „ივერია" (ხაშური) 5:2 (2:0).

ლანჩხუთი. „გურიის" სტადიონი. 10 ივნისი.

„გურია": ქანთარია, კვინტრაძე (კეტაშვილი), გუჯაბიძე, დანელია, კახისაშვილი, ცომაია, მიქაბერიძე, მეგრელაძე (ქურიძე), კორღალიძე, ფრიდონაშვილი, უგრელიძე.

„ივერია": ბრიაუნისი, რ. ნოზაძე (თევზაძე), ცხოვრებაშვილი, მალრაძე, პანგურიძე, ხარაზიშვილი, ქიმერიძე, კისელიოვი, მჭედლიშვილი (ჰყოიძე), ტარიელაშვილი, რობაქიძე.

მსაჯები: ნ. კილაძე (თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში).

ლანჩხუთში წვიმდა, რამაც გარკვეულწილად დააქვეითა თამაშის სანახაობრივი მხარე.

ხაშურის „ივერიას", რომელიც გათამაშების ცხრილში ბოლო საფეხურს იკავებს, დასაკარგი არაფერი ჰქონდა და პირველივე წუთებიდან მედგრად შეუტია „გურიის" კარს. უკვე მე-6 წუთზე ხარაზიშვილს შეეძლო ანგარიშის გახსნა — იგი მარჯვენა ფრთიდან პირისპირ გავიდა მეკარესთან, მაგრამ დარტყმა გაუცუდდა. მალე „გურიამ" შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა, თავისი სათამაშო გეგმა სწრაფად მოახვია მეტოქეს თავზე და არაერთი საგოლე მომენტიც შექმნა. ერთ-ერთ ეპიზოდში უგრელიძისა და მეგრელაძის დარტყმები მაღრაძემ ცარიელი კარიდან გამოიტანა, მე-17 წუთზე კი საჯარიმოში ხელით თამაშისთვის ხაშურელთა კარში დაინიშნა 11-მეტრიანი, რომელიც უნაკლოდ შეასრულა კორღალიძემ — 1:0. გატანილი გოლის შემდეგ „გურია" უფრო ლაღად და თავისუფლად ათამაშდა. 38-ე წუთზე გუჯაბიძემ გრძელი პასით გარღვევაზე გაიყვანა მეგრელაძე, რომელიც შეიჭრა საჯარიმოში, მოატყუა მცველები და ჩინებულ საგოლე პოზიციაზე გაიყვანა კორღალიძე. მისი უძლიერესი მოჭრილი დარტყმის შემდეგ ანგარიში ორამდე გაიზარდა.

მეორე ნახევარში სტუმრებს უფრო გაუჭირდათ. 68-ე წუთზე მიქაბერიძე-მეგრელაძე-ფრიდონაშვილის კომბინაცია ამ უკანასკნელმა მესამე გოლით დაასრულა. ზუსტად სამი წუთის შემდეგ კი კორღალიძემ ჰეთ-თრიკიც შეასრულა და თავით მეოთხე ბურთიც გაიტანა ბრიაუნისის კარში. სტუმრებს სულაც არ უფიქრიათ ფარ-ხმლის დაყრა: შეცვლაზე შემოსულმა ჰყოიძემ გვერდი აუარა „გურიის" ორ მცველს და უძლიერესი დარტყმით ანგარიშში სხვაობა შეამცირა — 4:1.

მალე უგრელიძემ მეხუთედ დააწყებინა სტუმრებს ცენტრიდან თამაში. ბოლო ბურთი კი ამ მატჩში თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე კისილიოვმა გაიტანა — მან დაახლოებით 35 მეტრიდან ბრწყინვალედ დაარტყა საჯარიმო. ამის შემდეგ მოედანზე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. „გურიამ" გაიმარჯვა — 5:2.

ბორჩა ვასაძე,
„ლელოს", კორ.

„გორდა" (რუსთავი) — „სამგურალი" (წყალტუბო) 5:0 (2:0).

რუსთავი. „ფოლადის" სტადიონი. 10 ივნისი.

„გორდა": ქორიძე, ფირცხალავა, ავაქიანი, კუდინოვი, ლობჟანიძე, თორდიაშვილი (ალადაშვილი), ტ. კაპანაძე, კილასონია, ა. კაპანაძე, მიქაშავიძე, მეტრეველი (ბურნაძე).

„სამგურალი": მიქაძე, პელიძე, გოგელიძე, ხურცილავა (გ. ჯანელიძე), იონანიძე (ჩიხლაძე), რ. იობიძე, ცნობილაძე, სიჭინავა, ქ. იობიძე, ჰუონია, ხარაბაძე.

მსაჯები: მ. კობიაშვილი (დუშეთი), ლ. რაზმაძე (გორი), ზ. დარჩია (თბილისი).

გააფრთხილეს ი. სიჭინავა, გააძევეს რ. იობიძე.

შეხვედრა „გორდას" იერიშებით დაიწყო. ანგარიში მე-12 წუთზე ტარიელ კაპანაძის გადაცემის შემდეგ გახსნა მისმა ძმამ ავთანდილმა. 30-ე წუთზე მიქაშავიძეს უხეშად ეთამაშნენ სტუმართა საჯარიმოში. მსაჯმა დანიშნა 11-მეტრიანი, რომელიც ზუსტად შეასრულა კილასონიამ — 2:0.

მეორე ტაიმშიც რუსთაველთა უპირატესობა აშკარა იყო: სტუმრები ეპიზოდურად თუ გამოჩნდებოდნენ ხოლმე მასპინძელთა ნახევარზე. 65-ე წუთზე მეტრეველმა შორი მანძილიდან ძლიერად დაარტყა და ანგარიში გახდა 3:0, ორი წუთის შემდეგ კი მიქაშავიძემ ოთხამდე გაზარდა ანგარიში. შეხვედრის 89-ე წუთზე კილასონიამ მეხუთედ აიღო სტუმართა კარი.

რაჟდენ ბაბრიშიძე,
„ლელოს" კორ.

„ოდიში" (ზუგდიდი) — „მერცხალი" (ოზურგეთი) 5:2 (2:0).

ზუგდიდი. ცენტრალური სტადიონი. 10 ივნისი.

„ოდიში": პანტურია, კვიტატიანი, ნაჭყებია, თუთბერიძე, ჯავაშვილი, კვარაცხელია, მალანია, გოგოხია (სართანია), ბიგვავა, ყიზილაშვილი, თევზაძე (ტიბუა).

„მერცხალი": დუმბაძე, ცერცვაძე, მეავანაძე, ხამაშურიძე, ტუღუში, წივწივაძე, კაშია, ავალიანი, ჩიგოგიძე, ბარამიძე, ამაშუკელი (სალუქვაძე).

მსაჯები: ჯ. წერეთელი (რუსთავი), შ. ბერიძე (თბილისი), დ. სანაია (სოხუმი).

მასპინძლებმა უმალ იგდეს ხელთ ინიციატივა და შეხვედრის დასაწყისშივე არაერთი სახიფათო მომენტი შექმნეს „მერცხალის" კართან, მაგრამ გოლი მხოლოდ 28-ე წუთზე გაიტანეს — სტუმართა ერთ-ერთმა მცველმა ხელით ითამაშა საჯარიმოში, მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა თერთმეტმეტრიანი, რომელიც ზუსტად დაარტყა ყიზილაშვილმა. მალე მასპინძელთა უპირატესობა თევზაძის მიერ 44-ე წუთზე გატანილ გოლშიც აისახა. აღსანიშნავია, რომ თევზაძე ტრავმის შემდეგ დაუბრუნდა მოედანს, ჯერ კიდევ ვერ არის ჩვეულ სპორტულ ფორმაში. მაგრამ მეტოქეთა მცველებს მაინც არაერთი თავსატეხი გაუჩინა.

სტუმრებმა ვერც მეორე ტაიმში შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა. დასაწყისშივე გოგოხიამ ორი ერთმანეთზე ლამაზი გოლი გაიტანა ოზურგეთელთა კარში. ეს დებიუტანტის დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს. — იგი ხომ ამ დღეს პირველად გამოჩნდა „ოდიშის" სასტარტო შემადგენლობაში. ოთხ „მშრალ" გოლს სტუმრებმა კონტრშეტევებით უპასუხეს და ჩიგოგიძემ შეძლო ანგარიშში სხვაობის შემცირება.

70-ე წუთზე პანტურიამ მოიგერია 11-მეტრიანი, რომელიც ზუგდიდელთა ერთ-ერთი მცველის უხეში თამაშის გამო დაინიშნა.

ამის შემდეგ გუნდებმა თითო-თითო ბურთი გაიტანეს — ზუგდიდელთაგან ეს ტიბუამ შეძლო, ოზურგეთელთაგან — კაშიამ.

რომან ბაბისონია,
„ლელოს" კორ.

„ბათუმი" (ბათუმი) — „კოლხეთი" (ხობი) 4:0 (3:0).

ბათუმი. ცენტრალური სტადიონი. 10 ივნისი.

„ბათუმი": ბალაძე, გოგიტიძე, მჭედლიშვილი, დურდიაძე, ღლონტი, ზედანია, მ. მახარაძე, შანიძე, უჯმაჯურიძე (ხომერიკი), ტუღუში, კიურჯიევი.

„კოლხეთი": ბაბუაძე (ბერაძე), გვასალია, კაციტაძე, ხურცილავა, ლატარია, მამფორია, ბაკურაძე, რუხაძე, გოგაძე, პიმუშინი, პიპინაძე.

მსაჯები: მ. პელიძე, ო. გუნთაძე, (ორივე — თბილისი), ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი).

ბათუმელებმა ორივე ტაიმში აღმავლობით ითამაშეს და დიდი ანგარიშითაც გაიმარჯვეს. ამ შეხვედრაში განსაკუთრებით აქტიურობდნენ ტუღუში და კიურჯიევი. მათ კარგად აუბა მხარი დებიუტანტმა ღლონტმა, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო მინდორზე. სწორედ მან გაიტანა მე-7 წუთზე პირველი ბურთი ხობელთა კარში. ამის შემდეგ, 15 წუთის განმავლობაში, „კოლხეთის" ფეხბურთელები წარმატებით იცავდნენ კარს, თუმცა, 22-ე წუთზე კიურჯიევის ეფექტური დარტყმის შემდეგ უძლურნი აღმოჩნდნენ რაიმე ეღონათ — 2:0. მესამე ბურთი ამ შეხვედრაში 43-ე წუთზე გავიდა — ზედანიამ კარგად ისარგებლა მცველთა შეცდომით. სტუმართაგან სახიფათო მომენტი მასპინძელთა კართან ბაკურაძემ შექმნა, მაგრამ მისი დარტყმა ოდნავ ასცდა მიზანს.

მეორე ნახევარი სანახაობრივად ნაკლებად საინტერესო გამოდგა: ხობელები შეეგუენ მარცხს, ბათუმელებმა კი საქმე მოთავებულად ჩათვალეს და ნაკლებად ირჯებოდნენ. მიუხედავად ამისა, მ. მახარაძემ 70-ე წუთზე შეძლო მეოთხე გოლის გატანა.

მუხრან კობალაძე,
„ლელოს" საკ. კორ.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„იბერია" (თბილისი)	15	12	3	0	36-4	39
„გურია" (ლანჩხუთი)	15	10	4	1	26-12	34
„ბათუმი" (ბათუმი)	15	9	2	4	24-15	29
„ოდიში" (ზუგდიდი)	15	8	2	5	30-18	26
„ცხუმი" (სოხუმი)	15	8	2	5	28-17	26
„ქუთაისი" (ქუთაისი)	15	8	2	5	25-24	26
„კოლხეთი-1913" (ფოთი)	15	7	3	5	23-16	24
„მარგველი" (ზესტაფონი)	15	7	2	6	24-23	23
„გორდა" (რუსთავი)	15	6	4	5	28-15	22
„სამგურალი" (წყალტუბო)	15	6	2	7	15-22	20
„ალაზანი" (გურჯაანი)	15	6	1	8	21-26	19
„შევარდენი-1906" (თბილისი)	15	5	3	7	25-21	18
„დილა" (გორი)	15	5	3	7	22-26	18
„მერცხალი" (ოზურგეთი)	15	5	1	9	15-25	16
„მზიური" (გალი)	15	4	4	7	14-22	16
„კოლხეთი" (ხობი)	15	4	3	8	17-22	15
„სულორი" (ვანი)	15	4	3	8	20-32	15
„ამირანი" (ოჩამჩირე)	15	3	4	8	18-24	13
„სანავარდო" (სამტრედია)	15	3	4	8	13-33	13
„ივერია" (ხაშური)	15	3	2	10	9-33	11

საქართველოს ჩემპიონატი რაგბიში

ეროვნული ლიგა. VIII ტური

თბილისი. აგრარული უნივერსიტეტის სტადიონი. 9 ივნისი.

„აკადემია" (თბილისი) — „ყოჩები" (თბილისი) 6:15 (6:12).

„აკადემია": დ. ძაგანელი, ლუდუშაური (ბუგიანიშვილი), კალანდაძე, ჩხენკელი, ქავთარაშვილი; მანთიძე, ცაგარეიშვილი, ლევიაშვილი, ნ. წიკლაური (ხვანიძე), მოდებაძე, ობოლაძე, ღლონტი, შოთაძე, ახათიანი, ნარიმანაშვილი.

„ყოჩები": თათარაშვილი, ჭაფარიძე, ბარძიმიშვილი, გეგენავა, ყუბანეიშვილი, პეიშვილი, გიორბელიძე, გიგაშვილი (თეზელაშვილი), შამათავა, გიორგაძე, მაჭავარიანი, დიდებულიძე, გოგეშვილი, კობახიძე (კომლაძე), ლეჟავა (ნეფარიძე).

მსაჯი გოჩა აბაშიძე (თბილისი).

მეტოქეებს გამარჯვება სხვადასხვა მიზეზის გამო სწადდათ: „ყოჩები" ჯერ კიდევ ინარჩუნებენ ფინალურ ოთხეულში მოხვედრის თეორიულ შანსს, „აკადემიას" კი წლევანდელ სეზონში ჯერ არ გაუმარჯვია. ამიტომაც, ორივე გუნდმა ყველაფერი იღონა მიზნის მისაღწევად.

ანგარიში აკადემიელმა ნ. წიკლაურმა გახსნა საჯარიმოთი. ცოტა ხანში კობახიძემ ორი საჯარიმო გაიტანა და, როცა ყველას ეგონა, „ყოჩები" კიდევ გაზრდიან სხვაობასო, მანთიძემ არეკნით დაარტყა და გაათანაბრა ანგარიში. ტაიმის ბოლომდე არაფერი შეცვლილა, უკანასკნელ წუთებზე კი თათარაშვილმა გაჰკრა დაცვის ხაზი, დააყენა მოლი, იქიდან გამოსული ბურთი მიიღო გიორბელიძემ და ცრუ მოძრაობით გაიტანა გოლი, რომელიც გარდასახა კობახიძემ.

შესვენების შემდეგ ორივე გუნდის წევრები ხშირად ცდებოდნენ, მაგრამ ერთმანეთის შეცდომებს ვერ იყენებდნენ. „აკადემია" ბევრს ეცადა გარდატეხა შეეტანა თამაშში, განსაკუთრებით აქტიურობდა მათი ლიდერი ობოლაძე, მაგრამ უშედეგოდ. ამასობაში კობახიძემ კიდევ ერთი საჯარიმო გაიტანა და... 15:6 გაიმარჯვა „ყოჩებმა".

• • •

„ვესტა" (თბილისი) — „რაში" (თბილისი) 60:3 (30:0)

„მიმინო" (თბილისი) — „შევარდენი" (თბილისი) 13:19 (3:6)

გამოტოვებული მატჩები:

„შევარდენი" — „აკადემია" 12:6 (4:6)

„გელათი" (ქუთაისი) — „ვესტა" 9:16 (9:3)

„მიმინო" — „იმერეთი" (ჭიათურა) 20:11 (0:7)

„ყოჩები" — „აია" (ქუთაისი) 16:40 (8:30)

„რაში" არ დაუხვდა თბილისში სათამაშოდ ჩამოსულ „აიას".

სატურნირო ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ქ.
„აია"	8	8	0	0	32
„ვესტა"	7	6	0	1*	24
„გელათი"	7	4	1	2	20
„მიმინო"	7	3	1	3	17
„შევარდენი"	6	3	0	3	15
„ყოჩები"	7	2	2	3	15
„იმერეთი"	5	1	0	4	8
„რაში"	5	1	0	5*	8
„აკადემია"	7	0	0	7*	6

* ამ ნიშნით აღინიშნება ის, რომ გუნდს სათამაშოდ გამოუცხადებლობის გამო დამარცხებისათვის ქულა არ დაეწერა.

ამერის ქველიგა

VII-VIII ტური

„უნივერსიტეტი" — „აკადემია-2" 6:4

„მარიხი" — „სამედიცინო" 13:9.

„რუსთავი" — „ივერია" 22:0

„აკადემია-2" — „მარიხი" 6:14

„სამედიცინო" — „რუსთავი" 12:16

„ივერია" — „უნივერსიტეტი" 19:12

სატურნირო ცხრილი

„მარიხი"	8	6	2	0	28
„რუსთავი"	8	6	1	1	27
„ივერია"	8	5	1	2	24
„უნივერსიტეტი"	8	3	0	5	17
„სამედიცინო"	8	2	0	6	14
„აკადემია-2"	8	0	0	8	8

იმერის ქველიგა

„ლილე" (ლენტეხი) — „ფაზისი" (ონი) 15:9

„ლილე" — „გელათის სკოლა" (ქუთაისი) 20:18

„აიეტი" (ქუთაისი) — „ჯანი" (ჩოხატაური) 6:21.

„ფაზისი" — „სათაფლია" (წყალტუბო) 0:37

სატურნირო ცხრილი

„სათაფლია"	7	6	1	0	26
„ჯანი"	7	6	0	1	25
„აიეტი"	6	2	1	3	13
„ლილე"	7	2	0	5	13
„გელათის სკოლა"	6	1	0	5	9
„ფაზისი"	5	1	0	4	8

მსოფლიოს ფეხბურთის ამბები

კარეკას პესიმიზმი

ანტონიო კარეკა 31 წლისაა. რას ფიქრობს იგი ბოლო საფეხბურთო წლების ბრაზილიის ნაკრებზე, მომავალ შეჯიბრებებზე?

შეაფასეთ თქვენი თამაში „ნაპოლიში"...

თუ 1989-90 წლების სეზონზე ვილაპარაკებთ, ძალიან კმაყოფილი ვიყავი. ამ წელს ხომ ჩვენი გუნდი იტალიის ჩემპიონი გახდა. აი, ამის შემდეგ კი კარგი არაფერი მინახავს. „ნაპოლი" ვადაზე ადრე გამოეთხოვა ჩემპიონობას, მე კი დავშავდი და უამრავი მატჩი გამოვტოვე. ამას დაერთო მარადონას უსიამოვნო ისტორიაც.

რას იტყვით ბრაზილიის ნაკრების ჩავარდნაზე მსოფლიოს უკანასკნელ ჩემპიონატში?

ამის ახსნა იოლი არ არის. ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელი ლაზარონი დამნაშავე არ გახლავთ. ჩვენ ყველანი სხვადასხვა ქვეყნებში ვთამაშობთ: იტალიაში, საფრანგეთში, პორტუგალიაში, გერმანიასა და ბრაზილიაში. ასეთი ფართო „გეოგრაფია" რა ხეირს დაგაყრის: კარგა ხანი უნდა გავიდეს, სანამ ფეხბურთელები ერთმანეთს შეეჩვევიან. ასეთ გუნდს, გასაგებია, უჭირს თამაში, თუნდაც ცალკეული ფეხბურთელები უმაღლესი დონის ოსტატებიც იყვნენ.

გაქვთ თუ არა მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატში მონაწილეობის იმედი?

არა, არა მაქვს. მე უკვე ხანდაზმული ვარ. ჩემზე ამბობენ, რომ თამაშის მანერით უფრო ევროპელს ვგავარ, ვიდრე ბრაზილიელს. თანდათან უფრო მიძნელდება ტექნიკური თამაშის შეთავსება თანამედროვე სწრაფ ფეხბურთთან. ეს რა თქმა უნდა, ახალგაზრდებს უფრო უკეთ გამოუდით.

● **სტატისტიკოსების** ცნობით, ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატებს სხვა ლაურეატებთან ერთად საიუბილეო გოლების „ავტორიტეტიც" ჰყავს.

პირველი გოლი: ლორენი (საფრანგეთი) — 1930. მე-100 გოლი: იოჰანსონი (შვეცია) — 1934. მე-200: ვეტერსტრიომი (შვეცია) — 1938. მე-300: ჩიკო (ბრაზილია) — 1950. მე-400: ლეფტერი (თურქეთი) — 1954. მე-500: რანი (გერმანია) — 1958. მე-600: ერკოვიჩი (იუგოსლავია) — 1962. მე-700: ბობი ჩარლტონი (ინგლისი) — 1966. მე-800: ჟაირზინიო (ბრაზილია) — 1970. მე-900: იასალდე (არგენტინა) — 1974. მე-1000. რენსენბრინკი (ჰოლანდია) — 1978. 1100-ე: ბარმოში (ჩეხოსლოვაკია) — 1982. 1200-ე: პაპენი (საფრანგეთი) — 1986. 1300-ე: ლინეკერი (ინგლისი) — 1986. 1400-ე: ეკსტრიომი (შვეცია) — 1990.

● **გფრ-ის** ნაკრების ყოფილ მწვრთნელს ჰელმუტ შონს სთხოვეს შეედგინა ნაკრები იმ ფეხბურთელთაგან, რომლებიც მისი ხელმძღვანელობით გამოდიოდნენ.

მან ასეთი გუნდი შეადგინა: მაიერი (მიუნხენის „ბაიერნი"), ბრაიტნერი (მიუნხენის „ბაიერნი"), შულცი („ჰამბურგერ შპორტფერაინი"), ბეკენბაუერი (მიუნხენის „ბაიერნი"), შნელინგერი (კიოლნი, „მილანი"), გრაბოვსკი (მაინის ფრანკფურტის „აინტრახტი), ნეტცერი (მიონხენ გლადბახის „ბორუსია", მადრიდის „რეალი"), ოვერატი („კიოლნი") ზეელერი („ჰამბურგერ შპორტფერაინი") მიულერი („ბაიერნი"), რუმენიგე („ბაიერნი", „ინტერი").

ერთად დავაზუსტოთ, ერთად შევქმნათ სრულყოფილი მატიანე

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი გამოსაცემად ამზადებენ ქართული სპორტის ისტორიის ამსახველ სარეკლამო ცნობარებს, რაც აუცილებელია საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებთან და ფედერაციებთან დამოუკიდებელი კონტაქტების დასამყარებლად. სამწუხაროდ, ჩვენი სპორტის შესანიშნავი ოსტატების წარმატებებს ათწლეულების მანძილზე თანამიმდევრულად არავინ აღნუსხავდა. გამონაკლისია ჩვენი ვეტერანი მუშაკი, ბატონი შოთა იხვლედიანი, რომელიც დიდი ხანია თავს უყრის სხვადასხვა მონაცემებს.

დღეიდან „ლელო“ იწყებს სპორტის სახეობების მიხედვით საქართველოს რჩეული ათლეტების წარმატებათა ამსახველი მასალების გამოქვეყნებას. წარმოგიდგენთ მხოლოდ ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონებს, თასის მფლობელებს.

არც რედაქცია, არც ავტორი პრეტენზიას არ აცხადებენ, რომ მონაცემები უნაკლოა. მოდით, ერთად დავაზუსტოთ, რაც დასაზუსტებელია, პუბლიკაციის მიზანიც ეს არის.

ვფიქრობთ, ამ საქმეში დაგვეხმარებიან როგორც თვით სპორტსმენები, ისე სპორტის სპეციალისტები და გულშემატკივრები...

დრო არ ითმენს, გამოგვეხმაურეთ!

აკრობატიკა

ნანა კიკილაშვილი (დ. 1962). მსოფლიოსა და ევროპის (1980) ჩემპიონი და მეორე პრიზიორი, მსოფლიოსა და ევროპის თასების მფლობელი (1981).

მანანა მნათობიშვილი (დ. 1962). მსოფლიოსა და ევროპის (1980) ჩემპიონი და მეორე პრიზიორი, მსოფლიოსა და ევროპის თასების მფლობელი (1981).

მაია შილაკაძე (დ. 1965). მსოფლიოსა და ევროპის (1980) ჩემპიონი და მეორე პრიზიორი, მსოფლიოსა და ევროპის თასების მფლობელი.

სვეტლანა მარტჩიანი (დ. 1962.) მსოფლიოსა და ევროპის ორგზის (1982) ჩემპიონი.

ნატალია ანისიმოვა (დ. 1967). მსოფლიოსა და ევროპის ხუთგზის (1988, 1990) ჩემპიონი. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების (1990) მეორე პრიზიორი.

ინგა გიორგობიანი (დ. 1968). მსოფლიოსა და ევროპის ხუთგზის (1988, 1990) ჩემპიონი. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების (1990) მეორე პრიზიორი.

სვეტლანა მაკარიჩევა (დ. 1972). მსოფლიოსა და ევროპის ოთხგზის (1988) ჩემპიონი.

ირინა ოვოიანი (დ. 1975). მსოფლიოსა და ევროპის (1990) ჩემპიონი და მეორე პრიზიორი.

ბატუტი

რუსუდან ხოფერია (დ. 1972). მსოფლიოს ოთხგზის (1987, 1988) და ევროპის სამგზის (1987, 1989) ჩემპიონი. მსოფლიოს ორგზის ვერცხლის (1987, 1990) და ბრინჯაოს (1989) პრიზიორი.

ანა დოლონაძე (დ. 1973). მსოფლიოს (1990) ჩემპიონი, ევროპის სამგზის (1990) ჩემპიონი. მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1990).

ზაქარია აბრამიშვილი (დ. 1972). მსოფლიოს (1990) ჩემპიონი. ევროპის სამგზის (1990) ჩემპიონი.

ველოსპორტი

ომარ ფხაკაძე (დ. 1944). ოლიმპიური თამაშების (1972) ბრინჯაოს მედალოსანი. მსოფლიოს (1965) ჩემპიონი. მსოფლიო ჩემპიონატების მეორე (1972) და მესამე (1966) პრიზიორი. ევროპის თასის (1966) მფლობელი.

თავისუფალი ჭიდაობა.

ლევან თედიაშვილი (დ. 1948), ოლიმპიურ თამაშების ორგზის (1972, 1976), მსოფლიოს ოთხგზის (1971, 1973, 1974, 1975) ჩემპიონი; მსოფლიო ჩემპიონი სამბოში (1973). მსოფლიო თასის (1979) მფლობელი. ევროპის სამგზის (1974, 1976, 1978) ჩემპიონი,

დავით გობეჯიშვილი (დ. 1963). ოლიმპიური თამაშების (1988) და მსოფლიოს ორგზის (1985, 1990) ჩემპიონი. მსოფლიო თასის სამგზის (1986, 1987, 1988) მფლობელი. ევროპის (1985) ჩემპიონი.

მირიან ცალქალამანიძე (დ. 1927). ოლიმპიურ თამაშების (1956) ჩემპიონი. მსოფლიო ჩემპიონატების მეორე (1957) და მესამე (1954) პრიზიორი.

დავით ციმაკურიძე (დ. 1925). ოლიმპიურ თამაშების (1952) ჩემპიონი.

ვახტანგ ბალავაძე (დ. 1927). მსოფლიოს ორგზის (1954, 1957) ჩემპიონი და მეორე (1959) პრიზიორი. ოლიმპიური თამაშების (1956) მესამე პრიზიორი.

გიორგი სხირტლაძე (დ. 1932). მსოფლიოს (1959) ჩემპიონი. მსოფლიო ჩემპიონატის (1957), მეორე პრიზიორი. ოლიმპიური თამაშების მეორე (1960) და მესამე (1956) პრიზიორი.

გურამ საღარაძე (დ. 1939). მსოფლიოს ორგზის (1963, 1965) ჩემპიონი. მსოფლიო ჩემპიონატების მეორე (1960) და მესამე (1956) პრიზიორი. ოლიმპიური თამაშების (1964) მეორე პრიზიორი. ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1968).

შოთა ლომიძე (დ. 1936). ოლიმპიური თამაშების (1968) მეორე პრიზიორი. მსოფლიოს ორგზის (1969, 1971) ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონატის (1967) მეორე პრიზიორი. ევროპის ორგზის (1966, 1969) ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1967).

ლერი ხაბელოვი (დ. 1964). მსოფლიოს სამგზის (1985, 1987, 1990) ჩემპიონი. ოლიმპიური თამაშების (1988) მეორე პრიზიორი. მსოფლიო თასის (1986) მფლობელი. ევროპის სამგზის (1985, 1987, 1988) ჩემპიონი.

ზარბეგ ბერიაშვილი (დ. 1939). მსოფლიოს (1969) ჩემპიონი. მსოფლიო ჩემპიონატების სამგზის (1963, 1965, 1967) მეორე პრიზიორი. ევროპის სამგზის (1965, 1966, 1970) ჩემპიონი და მესამე პრიზიორი (1967).

ვლადიმერ რუბაშვილი (1940-1964). მსოფლიოს (1961) ჩემპიონი. ოლიმპიური თამაშების (1960) მესამე პრიზიორი.

გივი უვარელაშვილი (დ. 1954). მსოფლიო თასის (1974) მფლობელი.

ნოდარ მოდებაძე (დ. 1950). მსოფლიო თასის (1974) მფლობელი. ევროპის (1973) ჩემპიონი.

როინ დობორჯგინიძე (დ. 1948). მსოფლიო თასის (1980) მფლობელი. ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1973).

გიორგი მაკასარაშვილი (დ. 1958). მსოფლიო თასის (1981) მფლობელი. ევროპის ჩემპიონატის ორგზის მესამე პრიზიორი (1980, 1983).

ზაზა თურმანიძე (დ. 1965). მსოფლიო თასის (1989) მფლობელი. ევროპის (1987) ჩემპიონი.

ნოდარ ხოხაშვილი (დ. 1940). ოლიმპიურ თამაშების (1964) მესამე პრიზიორი. ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1969).

თანამედროვე ხუთჭიდი

ვახტანგ იაგორაშვილი. დ. 1964). ოლიმპიურ თამაშების (1988) მესამე პრიზიორი. მსოფლიოს (1990) ჩემპიონი. მსოფლიო ჩემპიონატის (1989) მეორე პრიზიორი. მსოფლიო თასის ორგზის (1988) მფლობელი. ევროპის ოთხგზის (1987, 1989) ჩემპიონი. ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1987). ევროპის თასის ორგზის მფლობელი (1985).

(გაგრძელება იქნება).

უთანასწორო ბრძოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონატი სპორტული ავტომობილებით რბოლაში (ყოფილი „პროტოტიპი“) იმით დაიწყო, რომ ზოგიერთმა გუნდმა განაახლა შემადგენლობა. ჟან ტოდტმა, „პეჟო-ტალბო-სპორტსის“ მენეჯერმა, მოიწვია მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონი „ფორმულა 1“ კლასში, „მფრინავი ფინელი“ კეკე როსბერგი და წინათ ამავე კლასში მოასპარეზე ორი ფრანგი პილოტი: ფილიპ ალიე და იანიკ დალმა. გარდა ამისა, ფრანგული გუნდის ღირსებას დაიცავს მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი „პროტოტიპებით“ რბოლაში, იტალიელი მაურო ბალდი, რომელიც „საუბერ-მერსედესიდან“ გადმოვიდა. „პეჟოს“ ტექნიკური მრჩეველი ჟან-პიერ ჟაბუი იასპარეზებს „ლემანის 24-საათიან რბოლებში“ პიერ-ანრი რაფანელთან ერთად. ამგვარად, „პეჟო 905“-ს მართავენ: მაურო ბალდი — ფილიპ ალიე, კეკე როსბერგი — იანიკ დალმა და ჟან-პიერ ჟაბუი — პიერ-ანრი რაფანელის დამხმარე წყვილი.



რალი-რეიდებში საუცხოოდ გამოსვლის შემდეგ, „პეჟო-ტალბო-სპორტსმა“ გადაწყვიტა ბედი სპეციალურ სარბოლო ტრასებზე ეცადა. სწორედ ამ მიზნით, მოამზადეს კონსტრუქტორებმა „პეჟო 905“ ტიპის სპორტული ავტომობილი ამავე ფირმის 10-ცილინდრიანი ძრავით. ავტომობილმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

სპეციალისტთა აზრით ფრანგული ფირმა ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევს „მერსედესს“, „იაგუარს“, „სპაისს“, „მაცუდას“ და ძველ „პორშე 962“-ს.

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ გადაწყვიტა მომავალი წლიდან აკრძალოს ტურბო ძრავების გამოყენება. წელს კი გუნდები სხვადასხვა ტიპის ძრავებით აღჭურვილი ავტომობილებით გამოვლენ.

„ნისანმა“ ატმოსფერული ძრავების მომზადება განიზრახა და ამიტომ წელს აღარ იასპარეზებს, „პორშემ“ და „მაცუდამ“ კი უკვე გამოსცადეს ისინი. ამავე მიზეზით შეწყვიტა გამოსვლა „ტოიოტამ“.

ერთი სიტყვით, წლევანდელი სეზონი ტურბო და ატმოსფერულ ძრავებს შორის უთანასწორო ბრძოლით აღინიშნება. მიუხედავად იმისა, რომ „პორშემ“ გამოსცადა ტრადიციული ძრავები, წელს „ჯოესტ პორშე 962“ კვლავ ტურბო ძრავებით გამოვა: „საუბერ-მერსედესმა“ კი ატმოსფერული ძრავით აღჭურვა მიხაელ შუმახერ-კარლ ვენდლინგერის ავტომობილი. ჟან-ლუი შლესერ-იოჰენ მასის ეკიპაჟი წელსაც ტურბო ძრავით იასპარეზებს.

რაც შეეხება „პეჟოს“ და „იაგუარს“ მათ ტრადიციული ძრავების გამოყენება არჩიეს.

შოტლანდიელ ტომ უოკინშოუს, რომლის ხელმძღვანელობითაც შარშან „იაგუარმა“ დუბლი შეასრულა, „ლე მანის 24-საათიან რბოლებში“, გუნდის შედგენაში პრობლემები გაუჩნდა. მას, ჯერჯერობით, მხოლოდ სამი პილოტი ჰყავს: იტალიელი ტეო ფაბი და ინგლისელები — დერეკ უორვიკი და მარტინ ბრანდლი (მსოფლიოს 1988 წლის ჩემპიონი „პროტოტიპებში“).

უკვე გაიმართა სპორტული ავტომობილებით რბოლაში მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონატის სამი ეტაპი, მაგრამ, ამჯერად, მხოლოდ ორის შედეგს გაგაცნობთ.

პირველ ეტაპზე, იაპონიაში, „სუძუკას“ ავტოდრომზე შედგა „პეჟო 905“-ის ბრწყინვალე დებიუტი. მაურო ბალდი-ფილიპ ალიეს წყვილმა თავისუფლად დაფარა 430 კმ სიგრძის მანძილი.

რბოლის საბოლოო შედეგი: 1. მაურო ბალდი-ფილიპ ალიე (იტალია/საფრანგეთი, „პეჟო 905“) — 74 წრე 2 საათში, 25 წუთსა და 1.688 წამში (საშუალო სიჩქარე საათში 179,372 კმ); 2. ჟან-ლუი შლესერი — იოჰენ მასი (საფრანგეთი გერმანია, „საუბერ-მერსედეს-ტურბო“) — ჩამორჩა 1 წრით; 3. მანუელ რეუტერი — ჰენრი ტოივონენი (გერმანია/ფინეთი, „კრემერ-პორშე“) — ჩამორჩა 2 წრით; 4. ქ. ცვოლსმანი — ქ. ეუზერი (ჰოლანდია, „სპაისფორდ კოსუორტი“) — 2 წრით; 5. გ. ფოშე — ს. ანდსკარი (შვეიცარია/შვეცია, „კუგარ-პორშე“) — ჩამორჩა 3 წრით.

პირადი ჩათვლა: 1-2. ფ. ალიე, მ. ბალდი — 20 ქულა; 3-4. ი. მასი, ჟ.-ლ. შლესერი. — 15; 5-6. ჰ. ტოივონენი, მ. რეუტერი — 12.

ფირმები: 1. „პეჟო-ტალბო-სპორტსი“ — 20; 2. „საუბერ-მერსედესი“ — 15; 3. „კრემერ-პორშე“ — 12; 4. „ეურო რეისინგი“ (სპაისი) — 10; 5. „კუგარ-კომპეტისიონი“ — 8 ქულა.

მეორე ეტაპი გაიმართა იტალიაში, „მონცას“ ტრასაზე.

წვიმიან ამინდში საკვალიფიკაციო რბოლები „იაგუარის“ უპირატესობით წარიმართა. ტეო ფაბიმ ტრასის რეკორდი (1 წუთი 33,672 წამი) დაამყარა.

პილოტებს უნდა გაევლოთ 75 წრე (430 კმ).

რბოლისას მრავალი ავარია მოხდა. უკვე სტარტის შემდეგ, ტეო ფაბი („იაგუარი“) ბოქსისკენ გაემართა ავტომობილის შესაკეთებლად და იქვე დარჩა 3 წრის განმავლობაში. მცირე რემონტის შემდეგ თანაგუნდელი დერეკ უორვიკმა შეცვალა, მაგრამ დაკარგული დრო „პეჟო 905“-ის ეკიპაჟებმა გამოიყენეს. დაწინაურდნენ როსბერგი-დალმა და ბალდი-ალიე.

შესვენების შემდეგ მილანელი ტეო ფაბი კვლავ ჩაერთო ასპარეზობაში და რამდენჯერმე სცადა დასწეოდა მეტოქეებს.

ამ დროს დალმა („პეჟო“) ბოქსში შევიდა და უხერხული მანევრით ტრავმა მიაყენა ორ მექანიკოსს, რომლებიც საავადმყოფოში მოათავსეს.

ამ ამბავმა „პეჟოს“ გუნდში ქაოსი გამოიწვია, რაც ბრწყინვალედ გამოიყენა „იაგუარმა“ და წელს პირველი დუბლი შეასრულა. ყველაზე მეტ ხანს „იაგუარის“ საჭესთან იჯდა ინგლისელი მარტინ ბრანდლი.

ტექნიკური შედეგები: 1. დერეკ უორვიკი — მარტინ ბრანდლი (ინგლისი, „სილკ ქათ იაგუარი“) — 430 კმ 2 საათში 5 წუთსა და 42,844 წამში; 2. ტეო ფაბი — მარტინ ბრანდლი (იტალია/ინგლისი, „სილკ ქათ იაგუარი“) — ჩამორჩა 1 წრით; 3. ჟან-ლუი შლესერი — იოჰენ მასი (საფრანგეთი/გერმანია, „საუბერ-მერსედეს-ტურბო“) — ჩამორჩა 2 წრით; 4. ქ. ცვოლსმანი — ქ. ეუზერი (ჰოლანდია, „სპაის-კოსუორტი) — 4 წრით; 5. მანუელ რეუტერი — ჰენრი ტოივონენი (გერმანია/ფინეთი, „კრემერ-პორშე“). — 4 წრით; 6. ოსკარ ლარაური — მასიმო სიგალა (არგენტინა, იტალია, „ბრუნ-პორშე“) — 6 წრით; 7. მ. სალა — პ. დიუდონე (ბრაზილია/ბელგია, „მაცუდა“) — 6 წრით; 8. მაურო ბალდი-ფილიპ ალიე (იტალია, საფრანგეთი, „პეჟო“) — ჩამორჩა 6 წრით; 9. ლ. რობერი — ფ. მიგო (საფრანგეთი, „კუგარ-პორშე“) — 6 წრით; 10. მიშელ ტროლე — ჟ. ბურბონე (საფრანგეთი/კანადა, „კუგარ-პორშე“) — ჩამორჩა 8 წრით.

პირადი ჩათვლა: 1-2. ჟ.-ლ. შლესერი, ი. მასი — 27 ქულა; 3-4. ფ. ალიე, მ. ბალდი — 23.

ფირმები: 1. „საუბერ-მერსედესი“ — 27; 2. „პეჟო-ტალბო-სპორტსი“ — 23; 3-5. „სილკ ქართ იაგუარი“, „ეურო რეისინგი“ (სპაისი), „კრემერ-პორშე“ — 20 ქულა.

დაბოლოს, იმ ავტომრბოლთა შესახებ, რომლებიც დაუბრუნდნენ დიდ სპორტს: ჰენრი ტოივონენი (ფინეთი) და მიშელ ტროლე (საფრანგეთი).

ფინელი პილოტი კინაღამ დაიღუპა 1986 წელს „რალი კორსიკის“ დროს, როცა მის „პორშეს“ ხესთან შეჯახების შედეგად ცეცხლი გაუჩნდა. იგი წელს, ფაქტობრივად, „საიქიოდან დაბრუნდა“.

რაც შეეხება მიშელ ტროლეს, 3 წლის წინ „ბრენდს ჰეტჩზე“, „ფორმულა 3000“ კლასში ასპარეზობისას, ჰერბერტის ავტომობილთან შეჯახების შედეგად მიღებულ ტრავმას იგი დიდხანს მკურნალობდა.

დავით ჩუბინიძე

• • •

სურათზე: „პეჟო-ტალბო-სპორტსის“ უახლესი მოდელი.

„სპორტლოტო“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1991 წლის 22-ე ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: დაშვებულია 1.645.513 ვარიანტი. 6 ნომრის გამოცნობისთვის (1) მოგება 141.148 მანეთია, ხუთისთვის (74) — 1.514, ოთხისთვის (3. 261) — 88.

საქართველოში: დაშვებულია 31.922 ვარიანტი. 6—0, 5—1, 4—51.

„სპორტლოტო 5 36“-დან: დაშვებულია 13.936.587 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (20) მოგება 20.000 მანეთია, ოთხისთვის (5.702) — 133, სამისთვის (185.709) — 5.

საქართველოში: დაშვებულია 229.374 ვარიანტი. 5—0, 4—106, 3—3.280.

22-ე და 13-22 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1991 წლის 22 ივნისიდან 22 ივლისის ჩათვლით.

სამთო სათხილამურო სპორტის ფედერაცია და მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან საქართველოს ჩემპიონის და სხვადასხვა ტურნირების გამარჯვებულის,

თენგიზ (თენგო) ჯაფარიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ლ. ჯავახიშვილი, კორექტორები: ქ. ქავთარაძე და ე. ჩომერიკი

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა, თბილისი, მ. კოსტავას ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

XI